მწვანე
ალტერნატივა

იცოდეთ თქვენი უფლებები

თუ განიცადეთ მატერიალური ზიანი წიალისეულის მოპოვების შედეგად

თბილისი 2007

OPEN SOCIETY INSTITUTE
& Soros Foundations Network

ბროშურა მომზადებულია პროექტის „საზოგადოების მიმართ ხელისუფლების ანგარიშვალდებულებების გაზრდა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მიმდინარეობს ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების „მწვანე ალტერნატივასა” და „კონსტიტუციის 42-ე მუხლის” მიერ.

ბროშურა მოამზადეს: კახაბერ კახაბერმა, რუსუდან მჭედლიშვილმა და ნინო გუჯარაიძემ.

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი” დაარსდა 1997 წლის სექტემბერში. ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაციამ გაბედული ნაბიჯები გადადგა საქართველოში ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებების დამკვიდრებაში, როგორიცაა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა.ჭორგანიზაციის მიზანია, ადამიანის უფლებების დაცვა, სამართლიანობისა და მართლმსაჯულების დამკვიდრება.

ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა” დაარსდა 2000 წელს. საქართველოს გარემოს, უნიკალური ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა მიზნად ისახავს ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების განვითარების ხელშეწყობას, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობას.

შესავალი

პროექტი „საზოგადოების მიმართ ხელისუფლების ანგარიშვალდებულებების გაზრდა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა საქართველოში“ მიზნად ისახავს დაიცვას საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლება იცხოვრონ უსაფრთხო გარემოში და ფლობდნენ საკუთრებას; ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მონაწილეობის მიღებას იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც გავლენას ახდენს მათი თემების განვითარებასა და საარსებო გარემოზე; დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, რათა მათი ინტერესები დაცული იყოს პრივატიზაციის პროცესში.

ბროშურა განკუთვნილია მოსახლეობისათვის, რომლის მიმართაც დაირღვა კანონით მინიჭებული უფლებები. კერძოდ, მოსახლეობისათვის, რომელმაც განიცადა მატერიალური ზიანი ს/ს ,,მადნეულის” ფუნქციონირების შედეგად.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში რამდენჯერმე ვეწვიეთ სს ”მადნეულის” საქმიანობის ზეგავლენიშ ქვეშ არსებულ სოფლებს. ვიზიტები ითვალისწინებდა მოსახლეობასთან შეხვედრას და ადგილობრივი პრობლემების გამოვლენას. როგორც ჩვენმა გამოცდილებამ აჩვენა, მოსახლეობა ნაკლებად ფლობს ზუსტ ინფორმაციას, თუ ვის და რა ფორმით უნდა მიმართოს სოფელმა ან კერძო პირმა ამა თუ იმ სადავო საკითხის თაობაზე. ამდენად, სს “მადნეულის” საქმიანობის არეალის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ფლობდეს სწორ ინფორმაციას თავისი უფლებების და სადავო საკითხის მოსაგვარებლად არსებული გზების შესახებ.

ამ ბროშურის მომზადების მიზანიც სწორედ ეს გახლავთ. დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია, რომელიც მოსახლეობას ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს და დაიცვას თავისი უფლებები სხვადასხვა პრობლემური საკითხის წარმოქმნისას. დოკუმენტში განხილულია სასამართლოში საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმები (პროცედურები, საშუალებები). მოსახლეობის მიერ აღნიშნული მექანიზმების უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით, ასევე წარმოდგენილია ჩვენი რჩევები.

თქვენ გაქვთ უფლება ...

საქართველოს კანონმდებლობა, ასევე როგორც საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მოთხოვნების შესრულების ვალდებულება აქვს აღებული საქართველოს, უზრუნველყოფენ საქართველოს მოქალაქის უფლებას:

- ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ ჯანსაღ გარემოში;
- სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;
- მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვით სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღების პროცესში;
- მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობამ;
- სასამართლო წესით მოითხოვოს ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა.

ასევე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებებით უზრუნველყოფილია საქართველოს მოქლაქეების უფლება შეუზღუდავად ფლობდნენ შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ - საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37., კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 5.;
- ინფორმაცია მოსახლეობის ჯანმრთელობის შესახებ; ინფორმაცია კატასტროფებისა და სხვა განსაკუთრებული მოვლენების შესახებ, რომლებიც უკვე მოხდა, ან შესაძლებელია მოხდეს და

ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას - საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 8.4;

- ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 42.;

- ზემოაღნიშნული ინფორმაციის მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არის საჯარო დაწესებულების ვალდებულება. საჯარო დაწესებულებად ითვლება ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება.

- "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ფართო საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ყოველწლიურად ამზადებს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ. კანონის თანახმად, მოხსენება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

- გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ;

- ეროვნული მეურნეობის გარემოზე ზემოქმედების შესახებ;

- სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვის ორგანიზების შესახებ;

აღნიშნული ანგარიშის, ასევე ნებისმიერი ზემოთხსენებული საკითხის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად შეგიძლიათ ოფიციალური წერილით მიმართოთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოებს. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოგაწოდოთ ინფორმაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

საქართველოს ზოგადი ადინისტრაციული კოდექსის 37 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

საჯარო ინფორმაციის მისაღებად საჯარო დაწესებულებაში უნდა წარადგინოთ წერილობით განცხადება. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. ამასთან, სასურველია, რომ წერილი მოამზადოთ ორ ეგზემპლარად (ასლად). ერთი ეგზემპლარი გადაეცით საჯარო დაწესებულებაში საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს. თხოვეთ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს, რომ მეორე ეგზემპლარზე დაგიმოწმოთ წერილის ჩაბარების ფაქტი (მოაწეროს ხელი და მიუთითოს წერილის ჩაბარების თარიღი). დამოწმებული ეგზემპლარი დაიტოვეთ თქვენ.

საქართველოს ზოგადი ადინისტრაციული კოდექსის 40 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე გაცნობოთ ამის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუკი საჯარო დაწესებულება უარს გეუბნებათ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ამის შესახებ თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გეცნობოთ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში წერილობით განგიმარტოთ თქვენი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიგითითოთ ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესე-

ბულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას. თუკი ჩათვლით რომ მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებაზე არამართლზომიერად გეთქვათ უარი, თქვენ შეგიძლიათ საჩივრით მიმართოთ ზემდგომ ინსტანციებს ან სასამართლოს.

გარდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციისა არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოება დაუშვებელია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება იცოდეს:

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

- საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;

- საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;

- კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;
- არჩევით თანამდეობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

- საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე

საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;

- საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

- საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

- იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

- საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.

- ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად.

რა საკითხები შეიძლება გახდეს სადავო?

დავა საწარმოსა და მოსახლეობას შორის შესაძლოა წარმოიშვას საწარმოს საქმიანობით გამოწვეული ნებისმიერი პრობლემური საკითხის თაობაზე. თუმცა, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, უკვე აწუხებს/ან შესაძლოა აწუხებდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას. ესენია: შენობა-ნაგებობებისათვის, მიწისა და მასზე განლაგებული ნარგავებისათვის მიყენებული ზიანი, საწარმოს

საქმიაობის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი, დავა საკომპენსაციო თანხის ოდენობაზე, კომპენსაციის დროულად მიღების საკითხი, და სხვა.

ყველა ზემოთ აღნიშნული, თუ საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის პრობლემის წამოჭრისას, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ ბროშურაში განხილული სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმები და საჩივრით მიმართოთ შესაბამის ინსტანციას.

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

საქართველოს მოქალაქის სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი უფლებები აღიარებული და დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მექანიზმები ამ უფლებების შელახვის შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის. ზიანი შესაძლოა იყოს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი.

საქართველოს სამოქალქო კოდექსის თანახმად, იმ პირმა (ფიზიკურმა ან იურიდიულმა), რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ დაზარალებულს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობი-

სათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.

თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში - თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

პასუხისმგებელი პირის ბრალის არსებობის მიუხედავად გარემოზე საშიში ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ობიექტების, ქონებისა და ეკონომიკური ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას უზრუნველყოფს საქართველოს კანონი “საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ”.

კანონის თანახმად, პირი, რომელიც საშიში ნივთიერების წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, გამოყენების ან განთავსების დროს საშიში ნივთიერებით აბინძურებს გარემოს, აგრეთვე პირი, რომელიც ფლობს ან აკონტროლებს

საშიშ ნივთიერებას; ასევე პირი, რომელიც სხვა პირის სახელით ახორციელებს საშიში ნივთიერების წარმოებას, გადამუშავებას, შენახვას, ტრანსპორტირებას, გამოყენებას ან განთავსებას, ვალდებულია გადაიხადოს იმ ზიანის კომპენსაცია, რომელიც მიაყენა სხვა პირს ან ტერიტორიას:

- საშიში ნივთიერებით დაბინძურების შედეგად ამ ნივთიერების წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების დროს ან სხვა შემთხვევაში;

- წინასწარ განზრახვით, გაუფრთხილებლობით ან მესამე მხარის ქმედებით გამოწვეული დაბინძურების შედეგად.

პასუხისმგებელი პირი აგრეთვე ვალდებულია გადაიხადოს:

- კომპენსაცია პირის ტრავმის ან გარდაცვალების შემთხვევაში;

- პირველადი რეაგირებისთვის საჭირო თანხის კომპენსაცია, მათ შორის, სახელმწიფოს, სახელმწიფო საწარმოს ან ნებისმიერი პირის მიერ საშიში ნივთიერებების გავრცელების შეზღუდვის, დაბინძურების აღკვეთის, დაბინძურებული გარემოს აღდგენისა და განახლების მიზნით განხორციელებული საქმიანობისთვის საჭირო თანხის კომპენსაცია;

- მესაკუთრის, დამქირავებლის ან მომხმარებლის შემოსავლისთვის მიყენებული ეკონომიკური ზიანის კომპენსაცია, მათ შორის, წყლის რესურსების, ნიადაგის, შენობა-ნაგებობებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია;

- ბუნებრივი და კულტურული გარემოს საშიში ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია.

ასევე საქართველოს შრომის კოდექსი ავალდებულებს დამსაქმებელს უზრუნველყოს დასაქმებულთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო:

- დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.

- დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.

- დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.
- დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

- დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის.

- დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.

ნებისმიერი ზემოაღნიშნული უფლების დარღვევის შედეგად თქვენთვის მიყენებული ზიაინი ანაზღაურების მოთხოვნით (წერილობით) პირველ რიგში უნდა მიმართოთ პასუხისმგებელ დაწესებულებას (ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე ეს შეიძლება იყოს საწარმო ან სახელმწიფო). იმ შემთხვევაში თუკი პასუხისმგებელი დაწესებულება არ აღიარებს თავის ბრალეულობას თქვენთვის ზიანის მოყენებაზე, უარს აცხადებს ზიანის ანაზღაურებაზე, ან პასუხისმგებელი დაწესებულების მიერ შემოთავაზებული ანაზღაურება თქვენთვის არ არის დამაკმაყოფილებელი უფლება გაქვთ მიმართოთ სასამართლოს.

სასამართლო

სასამართლო საქმეების ძირითადი ტიპებია:

1. სამოქალაქო საქმე - დავა ფიზიკურ პირებს შორის (განქორწინება, ალიმენტი, ზიანის ანაზღაურება, გამოსახლება, საბინაო დავა, ქონებრივი დავა);

2. ადმინისტრაციული დავა - დავა ფიზიკურ პირებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის (ადმინისრაციული აქტის ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, სახელფასო დავა, საპენსიო დავა, შრომითი დავები წარმოშობილი სახელმწიფო ორგანოებთან);

3. სისხლის სამართლის საქმე - დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა (ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა, თაღლითობა და ა. შ.).

4. საკონსტიტუციო დავა - საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებაში კანონის რომელიმე მუხლის ან რომელიმე ნორ-

მის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე დავა.

სულ ორი ტიპის სასამართლო არსებობს. ესენია: საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლო.

სარჩელით პირველად, რაიონულ ან საქალაქო სასამართლოს უნდა მიმართოთ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კი ზემდგომი ინსტანციის შესაბამის სასამართლოში ხდება.

ხანდაზმულობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ვადებს, რომლის ფარგლებშიც თქვენ შეგიძლიათ სადაო გახადოთ თქვენი დარღვეული უფლება. აღნიშნული საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესულია ხანდაზმულობის სახელწოდებით.

ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ანუ დროიდან როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ:

- ვალდებულების შესრულება გადადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი);
- სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა (მაგ. წყალდიდობა, მიწისძვრა. მეწყერი და ა.შ.);...

- კრედიტორი, ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში.

ამასთანავე დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება, თუ მოთხოვნა მომდინარეობს ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმო-

მადგენელი არ ჰყავს; ან მიმართულია ასეთი პირისადმი, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად ითვლება, ვიდრე პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება, ან მას არ დაენიშნება წარმომადგენელი.

კანონიერ წარმომადგენლის სახით ქმედუუნარო მოქალაქის აგრეთვე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, რომლებიც წარუდგენენ სასამართლოს თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს. დამადასტურებელი დოკუმენტებში ამ შემთხვევაში იგულისხმება: დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება. კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სასამართლოში საქმის წარმოება მიანდონ ადვოკატს, რაც არ ართმევს უფლებას თვითონაც მიიღოს მონაწილეობა საქმის წარმოებაში.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადებს, კერძოდ:

- სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა — 6 წელს;

- ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც;

- ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი (მევალე მოვალის წინაშე) უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით, სასამართლოში სარჩელის შეტანით ან სხაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამო-

ტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.

თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომში გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად.

თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით.

თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

თუ უფლებამოსილი პირი 6 თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

ამასთანავე, თუ ვალდებულმა პირმა ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად რაიმე სახით აღიარა თავისი ვალდებულება მეორე პირის მიმართ, ვალდებულია, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ვინაიდან მასზე აღარ გავრცელდება ხანდაზმულობის ვადა. რაიმე სახით აღიარება ნიშნავს ვალდებულების ხელწერილით აღიარებას ან ნაწილობრივ შეასრულებას, გადასახდელი თანხის ნაწილი ავანსის სახით გადახდას, სასამართლოზე ვალდებულების (ვალის) აღიარებას.

მთვარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. მაგალითად: თუ დავა ეხება სესხის ხელშეკულების შესრულებას ვალის დაბრუნების მოთხოვნით და გასულია 3 წლიანი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, მაშინ მოსარჩელე კარგავს უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის მოთხოვნის უფლებას.

ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია.

სასამართლოში მიმართვა

თუკი თვლით, რომ დაირღვა თქვენი რომელიმე კანონიერი უფლება, ან მოგადგათ რაიმე უშუალო ზიანი, ან შეგელახათ კანონიერი ინტერესი შეგიძლიათ მოითხოვოთ ამ უფლების დაცვა სასამართლოს მეშვეობით.

სასამართლოში მიმართვისას თქვენ არ გჭირდებათ იმის მტკიცება, კანონიერი იყო თუ არა მეორე მხარის ქმედება. თქვენი მიმართვის არსი სასამართლოსადმი სწორედ თქვენი კანონიერი უფლების შელახვაა. თუ მეორე მხარეც კანონის ფარგლებში მოქმედებდა, მაშინ სასამართლო თავად აყენებს საკითხს კანონის ორი დებულების ურთიერთწინააღმდეგობის შესახებ, დადგენილი პროცედურით (შესაძლოა ზემდგომ, ან კონსტიტუციურ სასამართლოში მიმართვის გზით) იხილავს და წყვეტს მას, და მხ-

ოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას თქვენს საქმეზე.

სასამართლოში სადაოდ გამხდარი ან დარღვეული უფლების დაცვის განხორციელება ხდება სარჩელის შეტანის გზით. სარჩელი უნდა წარადგიოთ წერილობითი ფორმით. სარჩელში აუცილებლად დაცული უნდა იყოს მისი შედგენის ფორმა და შინაარსი.

სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს:

- სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი;
- მოსარჩელის (პირი ვისაც შეაქვს სარჩელი) გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ მოსარჩელე იურიდიული პირია - მისი სახელწოდება;
- მოპასუხის (ვის წინააღმდეგაც შეგაქვთ სარჩელი) გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ იურიდიული პირია - მისი სახელწოდება და მისამართი;
- წარმომადგენლის (თუ გყავთ იმ შემთხვევაში) გვარი, სახელი და მისამართი, თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს;
- მოსარჩელის მოთხოვნა;
- გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას;
- მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
- სარჩელის ფასი, თუ შესაძლებელია სარჩელის შეფასება (ქონებრივი დავის შემთხვევაში);
- სამოქალაქო საქმეებზე დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადაო ქონების ნამდვილ ღირებულებას, მაშინ დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე. სადაო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები როდესაც შეტანილი იქნა სარჩელი. თუ სარჩელის შე-

ტანის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება, ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება. ადმინისტრაციულ საქმეებზე კერძო პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას. ამ შემთხვევაში მოსამართლე გადაწყვეტილებაში მიუთითებს თუ რომელი მხარის მიერ უნდა იქნეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და რა ოდენობით.

- სარჩელისათვის დართული საბუთების ნუსხა;

იმისათვის, რომ სასამართლო წარმოებაში მიიღოს თქვენი სარჩელი, იგი უნდა პასუხობდეს არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, არამედ თქვენ ვალდებული ხართ სარჩელის სასამართლოში შეტანისას, კანცელარიაში ჩააბაროთ სარჩელის და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი რამდენი მოპასუხეც გყავთ. ერთი ეგზემპლარი სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ყველა შემთხვევაში სასამართლოს რჩება, ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეგზავნება მოპასუხე მხარეს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთი ეგზემპლარი სარჩელის და თანდართული დოკუმენტების აუცილებლად უნდა დაიტოვოთ თქვენ, რომელზეც კანცელარიაში მოაწერინებთ ხელს, რომ სასარჩელო განცხადება ჩაიბარეს, დაასმევინებთ თარიღს როდის ჩაიბარეს და ვინ ჩაიბარა.

აღნიშნული წესი გამოიყენეთ ასევე განცხადების ჩაბარების დროსაც, ანუ განცხადების ჩაბარებისას ერთ განცხადებას ტოვებთ კანცელარიაში, როლო მეორე ეგზემპლარზე აწერინებთ ხელს, რომ ჩაიბარეს განცხადება. მეორე ხელმოწერილი ეგზემპლარი გრჩებათ თქვენ. მაგალითად, თუ სარჩელი შეგაქვთ ერთი მოპასუხის მიმართ, სასამართლოში უნდა შეიტანოთ ორი სასარჩელო განცხადება თავისი თანდართული დოკუმენტებით. მესამე ეგზემპლარი, რომელზეც ხელს აწერინებთ გრჩებათ თქვენ.

მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება თქვენი სარჩელის

მიღების შესახებ. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელი არ არის შეტანილი კანონით დადგენილი წესით, ან არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მაშინ მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს ეძლევა განჩინებით ვადა ხარვეზის შესავსებად. სასამართლო, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, ვალდებულია მოპასუხე მხარეს გადაუგზავნოს სასარჩელო განცხადების ასლი თანდართული დოკუმენტებით.

მოსამართლემ შესაძლოა არ მიიღოს სარჩელი წარმოებაში თუ:

1. საქმე არ არის სასამართლოს განსჯადი;

2. სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

3. განცხადება შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა (არ აქვს რწმუნებულება);

4. სასამართლოს წარმოებაშია საქმე იმავე დავაზე და იმავე მხარეებს შორის;

5. მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომ დავას გადაწყვეტს კერძო არბიტრაჟი.

მოსამართლეს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია კერძო საჩივრით, რომელიც შეიტანება იმავე სასამართლოში იმავე მოსამართლის სახელზე. განჩინების გასაჩივრების ვადა მითითებული იქნება თავად განჩინებაში.პირველ ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით დასაბუთებული გადაწყვეტლიების ჩაბარებიდან 14 დღიან ვადაში.

საქმის განხილვა ასევე შეიძლება დამთავრდეს მხარეთა მორიგებით, ამ შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს განჩინება, რითაც ამტკიცებს მორიგების პირობებს.

სასარჩელო განცხადების ფორმა

(სასამართლოს დასახელება)

მოსარჩელე: (სახელი და გვარი)
მისამართი:
ტელეფონი:
მოპასუხე: (სახელი და გვარი ან ორგანიზაციის დასახელება)
მისამართი:
ტელეფონი:

სასარჩელო განცხადება
(აქ იწერება სადაო საკითხი, მოსარჩელის მოთხოვნა)

მოგახსენებთ, რომ ––––– (აქ იწერება ფაქტობრივი გარემოებები რა მოხდა და გარემოებები, რომლებითაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას)––––––

უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელს სასამართლოში შეტანისას უნდა დაურთოთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის.

სასამართლოში საქმის განხილვისათვის ბაჟის გადახდის წესი და ოდენობა გამომდინარეობს კონკრეტული დავიდან.

ზოგადად, სამოქალაქო დავაზე, რომელიც არ ეხება ქონებრივ დავებს, დადგენილია სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ოდენობით გადახდა, გარდა ქვემოთ მოცემული გამონაკლისებისა.

საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

- სარჩელებზე აგრეთვე განცხადებებზე გამარტივებული გადახდის ბრძანების მიღების შესახებ სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტი, მაგრამ არა ნაკლებ 100ლარისა;

- სააპელაციო საჩივრებზე: სადავო საგნის ღირებულების 4 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა (სააპელაციო საჩივარში იგულისხმება რაიონული, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება მხარეების მიერ სააპელაციო სასამართლოში);

- საკასაციო საჩივრებზე: სადავო საგნის ღირებულების 5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა (საკასაციო საჩივარში იგულისხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას მხარეების მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში);

- კერძო საჩივრებზე 50 ლარის ოდენობით;

- განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ — თუ ფიზიკური პირია 50 ლარი, ხოლო იურიდიულ პირზე 150 ლარის ოდენობით. სარჩელის უზრუნველყოფა გულისხმობს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებას, მოპასუხის მიერ თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის შეზღუდვის გზით (ქონების ან ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების დაყადაღება, მტკიცებულების გამოთხოვა, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა, მოპასუხის დავალდებულება რაიმე მოქმედების შესრულებაზე) ამასთანავე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანა შესაძლებელია გადაუდებელ შემთხვევაში (ქონების მოსალოდნელი გაყიდვა, გაჩუქება, ფიქტიური გასხვისება, გადამალვა) სარჩელის სასამართლოში შეტანამდე. უზრუნველყოფის რომელიმე ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში სასამართლო განჩინებით ადგენს ვადას რა ვადაშიც უნდა მოხდეს სარჩელის შეტანა სასამართლოში;

- განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ან გადაწყეტილების ბათილად ცნობის შესახებ თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია - 100 ლარი, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია - 300 ლარი;
- უდაო წარმოების სარჩელზე - 50 ლარის ოდენობით, სააპელაციო საჩივარზე - 100 ლარის, ხოლო საკასაციო საჩივარზე - 300 ლარიო ოდენობით.

საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე გადასახდევინებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.

საქართველოს საკონსტიტუციუიო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით: ფიზიკური პირის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე 10 ლარი;

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები სახელმწიფო ბაჟში გარკვეული კატეგორიის მოსახლეო-

ბაზე, კერძოდ:

- ფიზიკური პირები — სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან;

- მოსარჩელენი - სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით;

- სოციალური დაზღვევის ორგანოები და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები რეგრესულ სარჩელებზე ზიანის მიმყენებლის მიერ დაზარალებულზე გაცემული დახმარების ან პენსიის გადახდევინების შესახებ, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები — აგრეთვე სარჩელებზე არასწორად მიღებული დახმარებებისა და პენსიების შესახებ;

- ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები — ყველა სარჩელზე;

- მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩლე — სარჩელზე არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდევინება: თუ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს წამოიჭრა საკითხი კანონის რომელიმე მუხლის არაკონსტიტუციურობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ან დაბრუნების წესი:

- სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება ეროვნული ვალუტით ბანკებში, დადგენილი ფორმის ქვითრის გაცემით.

- სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება:

- საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე — შესაბამისი განცხადებების (საჩივრების) ან საკასაციო საჩივრების შეტანამდე, ასევე სასამართლოს მიერ საბუთის ასლის გაცემისას;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე — კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანამდე.

გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქმის წარმოების შეწყვეტისას ან სარჩელის განუხილველად დატოვებისას, თუ საქმე სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება, აგრეთვე როდესაც მოსარჩელე არ იცავს მოცემული კატეგორიის საქმეებისათვის წინასწარი დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს ან აღიარებულია ქმედუუნარო პირად.

სახელმწიფო ბაჟი, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას, გაცემული უნდა იქნეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე შესაბამისი ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ იმ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ.

სასამართლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ასევე სასამართლოს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს ან გადაუწილვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლოს ხარჯების გადახდა ან შეამციროს ხარჯების ოდენობა.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ
მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
მისამართი: თბილისი, ყიფშიძის ქ. №5ა, IV სადარბაზო, VII სართული
ტელეფონი: 22 16 04; ფაქსი: 22 38 74

კავშირი ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლი"
მისამართი: თბილისი, შევჩენკოს ქ. №12, V სართული
საკონტაქტო ტელეფონები:
კახაბერ კახაბერი: 8 99 92 51 28
რუსუდან მჭედლიშვილი: 8 93 42 44 39